საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა
2023 წლისთვის

2023 წელი

შესავალი

2014 წელს საქართველომ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - „გაერო“) კონვენციის რატიფიკაცია განახორციელა, რითიც, ერთი მხრივ, ქვეყანამ აღიარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო, მეორე მხრივ, იკისრა რიგი ვალდებულებები როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. კერძოდ, კონვენცია წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა, როგორც საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და გაძლიერების გზით, ისე შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამრღვევი პრაქტიკის შეცვლით.

2021 წელს საქართველოს პარლამენტმა ასევე, მხარი დაუჭირა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმის“ რატიფიცირებას. აღნიშნული ოქმით სახელმწიფო მხარე აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის კომპეტენციას, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მიიღოს და განიხილოს იმ პირების ან პირთა ჯგუფის მიერ ან მათი სახელით წარდგენილი შეტყობინებები, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი არიან სახელმწიფო მხარის მიერ კონვენციის დებულებების დარღვევის მსხვერპლნი.

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში უკეთ ასახვის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“. კანონი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შშმ პირთა უფლებრივ გარანტიებს ეროვნულ დონეზე. აღნიშნული კანონის მიზანი შშმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება, მათი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციის ძირითადი პრინციპებისა და ღირებულებების ასახვაა. ამისათვის კანონი ითვალისწინებს რიგ ვალდებულებებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან (შემდგომში - კომუნიკაციების კომისია) მიმართებით.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ საქართველოს მთავრობას ავალდებულებდა შეექმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 ნოემბრის №551 დადგენილებით. კომიტეტი წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელ მექანიზმს, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და სხვა მნიშვნელოვან ფუნქციათა

შორის, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კუთხით საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის კომიტეტის რეკომენდაციების და ეროვნული ვალდებულებების შესრულებასა და კოორდინაციას.

საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მთელ რიგ ვალდებულებებს. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს:

- არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შშმ პირთათვის, თავისი მმართველობის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თავის სისტემაში არსებული ყველა შესაბამისი სერვისის სრული ხელმისაწვდომობა, შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული პროგრამებისა და მასალების (მათ შორის, აუდიოწიგნი, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) შეთავაზების ჩათვლით.

ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ადაპტირებისა და უნივერსალური დიზაინის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ვადების მითითებით და განახორციელოს მისი შესრულების ზედამხედველობა. ადმინისტრაციული ორგანო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე ვალდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებას; უზრუნველყოს შესაბამისი კადრების მუდმივი გადამზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანო ასევე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გათვალისწინებული ნორმატიული აქტების, სტრატეგიების, სამოქმედო გეგმებისა და ინსტრუქციების შემუშავებაში და ხელი შეუწყოს მათ იმპლემენტაციას. ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ასევე საქართველოს მთავრობის 2021–2035 წლების ერთიანი სტრატეგიის შესაბამისად, უნდა განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება 2021 წლის 1 იანვრიდან 2035 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის სრულად ამოქმედების უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონზე დაყრდნობით, გამოკვეთოს ახალი პრიორიტეტები, რომელთა აღსურლებაც კომუნიკაციების კომისია განაგრძობს 2023 წელსაც, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს შშმ პირთა უფლებების დაცვას,

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის კომუნიკაციების კომისიაში არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებებისა და ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად შესაბამისი ქმედებების განხორციელების გაგრძელებას; ასევე ნაწილობრივ უკვე ადაპტირებული შენობა-ნაგებობის მისაწვდომობის გაუმჯობესებაზე მუშაობის დაწყებას, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაზე მუშაობას, რაც შესაძლებელს გახდის როგორც კომუნიკაციების კომისიაში, ასევე მისი რეგულირების სფეროში შემავალი ავტორიზებული პირების, ოპერატორების მიერ მომხმარებლებისათვის ეტაპობრივად ყველა შესაძლო სერვისის სრული ხელმისაწვდომობის შეთავაზებაზე სამუშაო პროცესის დაწყებას.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის 22 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით, კომისია მისთვის დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ მედიაპლურალიზმის, კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების, თანასწორობის, მომხმარებლების უფლებების დაცვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და თავისუფალი კონკურენციის განვითარების უზრუნველსაყოფად. ამასთან, კანონს დაემატა უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ რეგულაციები. კერძოდ, 45 სეკუნდა მუხლი, რომლის მიხედვითაც, გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი პროგრამების კატალოგში განათავსოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული პროგრამები კომისიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე კანონში გაჩნდა ახალი 52 სეკუნდა მუხლი, რომლის სათაურია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“ და რომელის მიხედვითაც:

- აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებული არიან განგრძობითად და პროგრესირებადად უფრო ხელმისაწვდომი გახადონ საკუთარი მომსახურებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პროპორციული ღონისძიებების განხორციელებით. კომისია ადგენს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მედიამომსახურებების განგრძობითად და პროგრესირებადად ხელმისაწვდომობის სტანდარტებს.

- აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელმა და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულმა პირმა კომისიას 3 წელიწადში ერთხელ უნდა წარუდგინონ ანგარიში ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

- აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელი და მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ადგენენ სამოქმედო გეგმას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საკუთარი მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ და კომისიას წარუდგენენ 3 წელიწადში ერთხელ.

- მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურთან კომისიის მიერ დადგენილი წესით იქმნება ერთიანი, ადვილად, საჯაროდ ხელმისაწვდომი (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის) ონლაინსაკონტაქტო პორტალი,

რომელზედაც განთავსდება ინფორმაცია და რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საჩივრების მიღება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ.

- აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებელმა კომისიის მიერ დადგენილი წესით უნდა უზრუნველყოს საგანგებო ინფორმაციის, მათ შორის, საჯარო კომუნიკაციებისა და სტიქიური უბედურების სიტუაციების შესახებ განცხადებების, გავრცელება იმგვარად, რომ ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

- სმენადაქვეითებული, სმენის არმქონე, მხედველობადაქვეითებული და უსინათლო პირთათვის ადაპტირებული (აუდიოდესკრიფციით, ტელეტექსტური მომსახურებით, სუბტიტრებითა და ჟესტების ენით) პროგრამების მომზადებისა და განთავსების წესს, მათ შორის, ასეთი პროგრამების მომზადებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მაუწყებლების, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირებისა და გამოძახებით აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიმწოდებლების უფლებებსა და ვალდებულებებს ადგენს კომისია.

ამავე ცვლილებების მიხედვით, ასევე აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც შეიცავს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. ასევე კანონის მიხედვით, აკრძალულია ისეთი რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს ან ახდენს წახალისებას სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების, რელიგიის ან რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციისას.

ცვლილებებით ასევე დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება დააფინანსოს მაუწყებლის მიერ სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტაციისთვის გაწეული დამატებითი ხარჯები ამ გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში მაუწყებელმა ადმინისტრაციულ ორგანოსა და კომისიას უნდა წარუდგინოს გადაცემის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების შესახებ ანგარიში, რომელსაც უნდა დაურთოს შესაბამისი პირველადი ფინანსური დოკუმენტები (ინვოისი, მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულება და ა. შ.). ხოლო კომისიამ უნდა განახორციელოს მონიტორინგი და დაადასტუროს, რომ ეთერში გასული სატელევიზიო გასართობი/შემეცნებითი გადაცემა შეესაბამებოდა კომისიის მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ჟესტური ენით, სუბტიტრებითა და აუდიოდესკრიფციით გადაცემების მომზადებისა და განთავსების სახელმძღვანელო წესებს.

ცვლილებებით ასევე კომისიას აქვს ვალდებულება დაამტკიცოს რამდენიმე სამართლებრივი აქტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების ნაწილში, კერძოდ:

- კომისიამ 2025 წლის 1 იანვრამდე დაადგინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ადაპტირებული (აუდიოდესკრიფციით, ტელეტექსტური მომსახურებით, სუბტიტრებითა და ჟესტების ენით) პროგრამების მომზადებისა და განთავსების წესი.
- კომისიამ 2024 წლის 1 იანვრამდე დაადგინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის მედიამომსახურებების განგრძობითად და პროგრესირებადად ხელმისაწვდომობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ ონლაინპორტალის ფუნქციონირების წესი.

საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის, ასევე ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობა ახორციელებს "Log in Georgia" პროექტს. პროექტის მიზანი საქართველოს 1000-მდე სოფლის მცხოვრებისთვის მაღალხარისხიანი ინტერნეტის მიწოდებასთან ერთად, ქალების, ეთნიკური უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის ინტერნეტის სწორად და ეფექტიანად გამოყენების სწავლებაა.

“Log-in Georgia” პროექტის მეორე კომპონენტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისია მიზნად ისახავს ციფრულ ეკონომიკაში ჩართულობის გაზრდასა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფას. ამისათვის, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია განახორციელებს დიაგნოსტიკურ კვლევას საქართველოში მოწყვლადი ჯგუფების ციფრული ინკლუზიის მდგომარეობის შესაფასებლად და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს ციფრული ინკლუზიის სტრატეგიაზე რეკომენდაციებს და სამოქმედო გეგმას.

სიტუაციური ანალიზი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის როგორც მიღებამდე პერიოდში, ასევე შემდგომ, კომუნიკაციები კომისიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის მიერ მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის, შესაბამის ინფრასტრუქტურასა თუ სერვისებზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით.

კომუნიკაციების კომისია, როგორც ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერების და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდის მიზნით თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ქმნიდა და კვლავაც შექმნის ადაპტირებულ გარემოს, კერძოდ:

- განხორციელდა კომუნიკაციების კომისიის შენობა-ნაგებობის ნაწილობრივი ადაპტირება. შენობა-ნაგებობებში შესასვლელად მოწყობილია პანდუსი, შედეგად კი, ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა შევიდნენ, როგორც კომუნიკაციების კომისიის შენობაში, ასევე შენობის პირველ სართულზე განთავსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით კომუნიკაციების კომისიის შენობაში სრულად ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიზნით განისაზღრა კომუნიკაციების კომისიის ძირითადი შენობის ადაპტაციის საჭიროებები და მიმდინარეობს შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.

- „ელექტრონულ კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის მიზნით კომუნიკაციების კომისიაში ჩატარდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოება და მიღებული იქნა ცვლილებები, რითიც დგინდება ახალი უფლებრივი გარანტიები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. კერძოდ, მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების შესაძლებლობა გაეცნონ მომსახურების პირობებს მომსახურების მიმწოდებლის ვებ-გვერდზე მომსახურების პირობების ამსახველი ტექსტით, ვებ-გვერდზე განთავსებული ცხელი ხაზით და მომსახურების მიმწოდებლის მიერ არჩეული სხვა ადეკვატური საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მომხმარებლების მიერ მომსახურების პირობების გაცნობის შესაძლებლობას.

- კომუნიკაციების კომისიის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ მომხმარებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, რეგულარულად უზრუნველყოფს საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, კომუნიკაციები კომისიის დასაქმებულებს ჩაუტარდათ ტრენინგები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობისა და ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით მუშაობის დასაწყებად.

- კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებულია პროექტები, რომელთა ფარგლებში, შშმ პირთა

ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით ჩატარდა მრავლობითი საინფორმაციო შეხვედრა. ინკლუზიური განათლების ფარგლებში, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა შეხვედრები საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის.

შესაბამისად, ვინაიდან „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა დგება ყოველწლიურად, კომუნიკაციების კომისია შეიმუშავებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმას უკვე 2023 წლისთვის.

შშმ პირთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაუმჯობესებასა და ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, შშმ პირთა ინკლუზიის გზაზე გამოწვევები კვლავ მრავლადაა. კომუნიკაციების კომისია მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად ყოველწლიური შიდაუწყებრივი გეგმების შემუშავებას, რათა ჯეროვნად და თანმიმდევრულად აღასრულოს კანონით ნაკისრი ვალდებულებები.

ხედვა, მიზნები და ამოცანები

კომუნიკაციების კომისიის ხედვაა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის მიზნით გარკვეული აქტივობების განხორციელება, რაც უკავშირდება როგორც ადაპტირებულ ინფრასტრუქტურას, ასევე კომისიაში არსებული ყველა შესაბამისი სერვისის შესახებ სრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული ვებგვერდების საშუალებით.

აღნიშნული ხედვა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების სრულად ამოქმედების უზრუნველსაყოფად, კომუნიკაციების კომისიის მიერ ეტაპობრივად განხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება 2021 წლის 1 იანვრიდან 2035 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში. 2023 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში კი კომუნიკაციების კომისია გამოყოფს ხუთ მიზანს, რისი მიღწევაც წარმოადგენს აღნიშნული გეგმის ამოცანას.

პირველ მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციების კომისიაში შშმ პირებისთვის მისაწვდომი გარემოს შექმნის და სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავება;

მეორე მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა ინკლუზიის და მისაწვდომობის გაზრდის მიზნით კომუნიკაციების კომისიის/საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის სერვისების ადაპტირება;

მესამე მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის მიერ მედიაწიგნიერების პროექტებში შშმ პირთა ინკლუზიურობის უზრუნველყოფა;

მეოთხე მიზანს წარმოადგენს შშმ პირებისთვის სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კომპანიების ვალდებულებების თაობაზე ცნობიერების ამაღლება;

მეხუთე მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციების კომისიაში შშმ პირებისთვის ფიზიკურად მისაწვდომი გარემოს შექმნა.

თითოეული მიზნის მისაღწევად, კომუნიკაციების კომისია რეგულარულად ითანამშრომლებს შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და შშმ თემის წარმომადგენლებთან. შშმ თემისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები ჩართულნი იქნებიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულებაშიც, მათ შორის, იმ სერვისების ადაპტაციასა და შეფასებაში, რომელთა შექმნასა და განვითარებას წინამდებარე სამოქმედო გეგმა ისახავს მიზნად.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომუნიკაციების კომისია განახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

ა) უზრუნველყოფს კომუნიკაციების კომისიის თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავებას, რომელიც მოიცავს მათთვის შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს კომუნიკაციების კომისიის თანამშრომელთა შშმ პირებთან კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას/გაუმჯობესებას;

ბ) უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის სოციალური ღონისძიებების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს კომისიაში დასაქმებულებთათვის შშმ პირების და მათი შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობის დონის ზრდას;

გ) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, უზრუნველყოფს აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ ონლაინპორტალის ფუნქციონირების წესის შემუშავებას, რომელიც განსაზღვრავს შშმ პირებისთვის მედიამომსახურებების ხელმისაწვდომობის სტანდარტებს და რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება კომისიაში საჩივრის მიღება;

დ) უზრუნველყოფს კომუნიკაციების კომისიის/საზოგადოებრივი დამცველის ვებ-გვერდების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სამუშაოების განხორციელებას (ადაპტირებული ვებ-გვერდის მიზანია შშმ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ როგორც კომუნიკაციების კომისიის, ასევე მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, ვებ-გვერდზე განთავსებულ სიახლეებს, კომუნიკაციების კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ასევე მიმართონ კომუნიკაციების კომისიას, საზოგადოებრივ დამცველს განცხადებებით/საჩივრებით, როგორც მომხმარებლებმა);

ე) უზრუნველყოფს მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ დაორგანიზებულ პროექტში შშმ პირებისთვის ჩართულობის გაზრდას და მათთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას;

ვ) „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში უზრუნველყოფს, მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შშმ პირთა ციფრული საჭიროების კვლევის განხორციელებას. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მოხდება ციფრული ინკლუზიის სტრატეგიის და განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ზ) უზრუნველყოფს სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კომპანიების ვალდებულებების თაობაზე შშმ პირებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას;

თ) უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით კომუნიკაციების კომისიის შენობაში ადაპტირებული გარემოს მოწყობის მიზნით კომუნიკაციების კომისიის შენობის საჭიროებების შეფასებას და შესაბამისი სამუშაოების დაწყებას.

მონიტორინგი და ანგარიშგება

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების ფარგლებში, ამავე კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფო უწყებათა მიერ ამავე კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

სამოქმედო გეგმის აღსრულების შესახებ ინფორმაცია აისახება ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელსაც საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა უწყებათშორისი საბჭოს გავლით, წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

ლოგიკური ჩარჩო

<table>
<tr><td>მიზანი 1.</td><td colspan="4">კომუნიკაციების კომისიაში შშმ პირებისთვის მისაწვდომი გარემოს შექმნის და სერვისების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ თანამშრომელთა ცოდნის გაღრმავება</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1.1.</td><td colspan="4">კომუნიკაციების კომისიის თანამშრომელთათვის შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ ტრენინგების /ღონისძიებების ორგანიზება</td></tr>
<tr><td></td><td>ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022)

კომუნიკაციების კომისიის თანამშრომლებში ინფორმირებულობის დონე შშმ პირთა უფლებების შესახებ გაზრდილია.</td><td colspan="3">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2023)

კომისიაში დასაქმებულ თანამშრომლებში ამაღლებულია ცნობიერება შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ და გაზრდილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის ხარისხი.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.1.</td><td colspan="4">შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ კომუნიკაციების კომისიის თანამშრომლებისათვის ტრენინგების ორგანიზება, შშმ პირებთან კომუნიკაციის უნარების ჩამოსაყალიბებლად/გასაუმჯობესებლად.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

ტრენინგ საჭიროებები იდენტიფიცირებულია; შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ ტრენინგი ჩატარებული აქვს კომისიის სულ მცირე 10 თანამშრომელს.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი უწყება: კომუნიკაციების კომისია.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1.1.2</td><td colspan="4">ღონისძიებების ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს შშმ პირების და მათი შესაძლებლობების შესახებ კომისიაში დასაქმებულთა ინფორმირებულობის დონის ზრდას.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

მოძიებულია შესაბამისი ორგანიზაციები, ჩატარებულია ღონისძიებები (დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, შშმ პირთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა და სხვა.)</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი უწყება: კომუნიკაციების კომისია.</td></tr>
<tr><td>მიზანი 2.</td><td colspan="4">შშმ პირთა ინკლუზიის და მისაწვდომობის გაზრდის მიზნით კომუნიკაციების კომისიის/საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის სერვისების ადაპტირება</td></tr>
<tr><td>ამოცანა 2.1.</td><td colspan="4">აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ ონლაინპორტალის ფუნქციონირების წესის შემუშავება</td></tr>
<tr><td></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

შემუშავებული და კომისიის მიერ დადგენილებით მიღებულია ონლაინ პორტალის ფუნქციონირების წესი, რომელიც განსაზღვრავს შშმ პირებისთვის მედიამომსახურებების ხელმისაწვდომობის სტანდარტებს, შშმ პირების მიერ მედიამომსახურებების სერვისებზე განგრძობითად და პროგრესირებადად ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას და ასევე რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება შშმ პირების მიერ კომისიაში საჩივრის მიღება.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი უწყება: კომუნიკაციების კომისია.</td></tr>
</table>

<table>
<tr><th>ამოცანა 2.2.</th><th colspan="4">კომუნიკაციების კომისიაში და საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში არსებულ სერვისებზე და საქმიანობის შესახებ მისაწვდომობის გაზრდის მიზნით ვებ-გვერდების ადაპტირება</th></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022)

მოკვლეულია შესაბამისი მომსახურების მომწოდებელთა ბაზარი. შერჩეულია 3 ძირითადი მომწოდებელი, რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება შესასრულებელ სამუშაოებთან და პირობებთან დაკავშირებით.</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)

მიმდინარეობს როგორც კომუნიკაციების კომისიის, ასევე საზოგადოებრივი დამცველის ვებ-გვერდების ადაპტირებისა და შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელება.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2.2.1.</td><td colspan="4">კომუნიკაციების კომისიის/საზოგადოებრივი დამცველის ვებ-გვერდების (www.comcom.ge, www.momkhmarebeli.comcom.ge, www.mediatsigniereba.ge) შშმ პირთა საჭიროებაზე მორგებასა და ადაპტირებისთვის სამუშაოების განხორციელება.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

მომსახურების მომწოდებელ კოპანიასთან კოორდინირებული მუშაობით შემუშავებულია ტექნიკური დავალება, რომლის მიხედვითაც დაწყებულია სამუშაოები კომისიის/საზოგადოებრივი დამცველის ვებ-გვერდების (www.comcom.ge, www.momkhmarebeli.comcom.ge, www.mediatsigniereba.ge) შშმ პირთა საჭიროებაზე მორგებასა და ადაპტირებისთვის.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td colspan="4">პასუხისმგებელი უწყება: კომუნიკაციების კომისია; მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური</td></tr>
</table>

მიზანი 3.	**მედიაწიგნიერების პროექტებში შშმ პირთა ჩართულობის გაზრდა**			
ამოცანა 3.1	**მედიაწიგნიერების პროექტებში ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მიზნით შშმ პირებთან სემინარების და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება**			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022) შშმ პირთა სხვადასხვა ჯგუფისთვის იდენტიფიცირებულია პროექტები, რომლებშიც შესაძლებელია მათი ჩართვა.	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)** მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებული პროექტების ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები ჩატარებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობით.		
აქტივობა 3.1.1.	მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები, დაიდენტიფიცირებულია პროექტ(ებ)ი შშმ პირთა მიერ მათში ჩართვისა და მონაწილეობის მიზნით			
	აქტივობის შედეგის ინდიკატორი: მედიაწიგნიერების განვითარების დეპარტამენტის მიერ პროექტების იდენტიფიცირება, რომელთა ფარგლებშიც საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება შშმ პირთა მონაწილეობით.	**დაფინანსების წყარო**		
		კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი	სხვა	დეფიციტი
		ადმინისტრაციული რესურსი		
	პასუხისმგებელი უწყება: კომუნიკაციების კომისია.			
ამოცანა 3.2	**„ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სამიზნე გეოგრაფიული არეალის მოსახლეობის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების, ციფრული საჭიროებების კვლევა**			
	ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022) „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ციფრული საჭიროებების კვლევა არ არის განხორციელებული.	**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)** „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებულია სამიზნე გეოგრაფიული არეალის მოსახლეობის, მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფების ციფრული საჭიროების კვლევა.		

<table>
<tr><td>აქტივობა 3.2.1</td><td colspan="4">„ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შშმ პირთა ციფრული საჭიროების კვლევის განხორციელება.</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

„ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მომზადდა სამიზნე გეოგრაფიული არეალის მოსახლეობის, მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფების, ციფრული საჭიროების კვლევის ანგარიში.</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი უწყება: კომუნიკაციების კომისია.</td></tr>
<tr><td>ამოცანა 3.3</td><td colspan="4">ციფრული ინკლუზიის სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება</td></tr>
<tr><td></td><td colspan="2">ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022)

შშმ პირების, როგორც ერთ-ერთი მოწყვლადი სამიზნე ჯგუფის ციფრული ინკლუზიის სტრატეგია და განხორციელების სამოქმედო გეგმის არ არსებობა.</td><td colspan="2">ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)

ციფრული ინკლუზიის სტრატეგიის და განხორციელების სამოქმედო გეგმა შემუშავებულია.</td></tr>
<tr><td>აქტივობა 3.3.1</td><td colspan="4">ციფრული ინკლუზიის სტრატეგიის და განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">აქტივობის შედეგის ინდიკატორი:

შემუშავებული და დამტკიცებულია ციფრული ინკლუზიის სტრატეგიის დოკუმენტი და შესაბამისი სამოქმედო გეგმა</td><td colspan="3">დაფინანსების წყარო</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">პასუხისმგებელი უწყება: კომუნიკაციების კომისია.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>**მიზანი 4.**</td><td colspan="4">**სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და კომპანიების ვალდებულებების თაობაზე შშმ პირებისთვის ცნობიერების ამაღლება**</td></tr>
<tr><td>**ამოცანა 4.1**</td><td colspan="4">**საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ მომხმარებელთა - შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო შეხვედრების/პრეზენტაციების ჩატარება**</td></tr>
<tr><td></td><td>**ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022)**

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ მომხმარებელთა - შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები</td><td colspan="3">**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)**

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ მომხმარებელთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები, როგორც ბენეფიციარებთან ასევე შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 4.1.1.**</td><td colspan="4">სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საინფორმაციო შეხვედრების/პრეზენტაციების ორგანიზება და ჩატარება შესაბამისი შშმ პირთა ჯგუფებისთვის და ორგანიზაციებისთვის.</td></tr>
<tr><td></td><td>**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**

შშმ პირთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის და ორგანიზაციებისთვის ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები სატელეკომუნიკაციო სფეროში მომხმარებელთა უფლებებისა და სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ მომხმარებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო**
კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი
ადმინისტრაციული რესურსი

სხვა

დეფიციტი</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პასუხისმგებელი უწყება:** კომუნიკაციების კომისია; მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.</td></tr>
</table>

<table>
<tr><td>**მიზანი 5.**</td><td colspan="4">**კომუნიკაციების კომისიაში შშმ პირებისთვის ფიზიკურად მისაწვდომი გარემოს შექმნა**</td></tr>
<tr><td>**ამოცანა 5.1**</td><td colspan="4">**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით კომუნიკაციების კომისიის შენობაში ადაპტირებული გარემოს მოწყობა**</td></tr>
<tr><td></td><td>**ამოცანის საბაზისო მაჩვენებელი (2022)**

განსაზღვრულია კომუნიკაციების კომისიის ძირითადი შენობის შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებისა და ადაპტაციის საჭიროებები</td><td colspan="3">**ამოცანის საბოლოო მაჩვენებელი (2023)**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებით დაწყებულია კომუნიკაციის კომისიის ძირითადი შენობის პირველი სართულის ადაპტაციის სამუშაოები.</td></tr>
<tr><td>**აქტივობა 5.1.1.**</td><td colspan="4">შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით კომუნიკაციების კომისიის შენობის საჭიროებების შეფასება და მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება</td></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td rowspan="3">**აქტივობის შედეგის ინდიკატორი:**
განსაზღვრულია კომუნიკაციების კომისიის ძირითადი შენობის ადაპტაციის საჭიროებები და დაწყებულია კომუნიკაციის კომისიის ძირითადი შენობის პირველი სართულის ადაპტაციის სამუშაოები.</td><td colspan="3">**დაფინანსების წყარო**</td></tr>
<tr><td>კომუნიკაციების კომისიის ბიუჯეტი</td><td>სხვა</td><td>დეფიციტი</td></tr>
<tr><td>ადმინისტრაციული რესურსი</td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">**პასუხისმგებელი უწყება:** კომუნიკაციების კომისია.</td></tr>
</table>